პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 209 (9985) | პარასკევი, 3 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობა ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში. — როგორ ვხელმძღვანელობთ მეცხოველეობას. საკოხეს და ბიდარას მთის იალაღებზე. პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობისათვის (მე-2 გვერდი).

დ. ლომთაძე, კ. სიხარულიძე. — მთიანი რაიონის სოფლებში (მე-3 გვერდი).

შ. ძიძიგური. — ქართული კლასიკური ლექსი (მე-3 გვერდი).

თბილისის „დინამოს“ კალათბურთულ ეაყთა გუნდი — სსრ კავშირის ჩემპიონი (მე-3 გვერდი).

პ. კრაინოვი. — იაპონელი ხალხი ამერიკელთა okუპაციის წინააღმდეგია (მე-4 გვერდი).

„გერმანელმა ხალხმა თავისი [illegible] ლაზვარი უნდა ჩასცეს გერმანიის მილიტარიზმს“ (მე-4 გვერდი).

გერმანიის კომუნისტური პარტიის [illegible] გერმანიის მოსახლეობისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კედლის გაზეთების მუშაობის დონის ამაღლებისათვის

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ძირეული პრესა. ძნელია ახლა მოიძებნოს ისეთი კოლმეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური ან საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც არ ჰქონდეს კედლის გაზეთი. კედლის გაზეთების — ჩვენი საბჭოთა პრესის ყველაზე მასობრივი რაზმის — მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ენერგიისა და თვითმოქმედების ნაყოფს.

წარმოადგენენ რა საბჭოთა პრესის შემადგენელ ნაწილს, კედლის გაზეთები ასრულებენ მასების კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს, აქტიურად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მშრომელთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ყურადღება ძირეული პრესისადმი, გააუჯობესა ხელმძღვანელობა და დახმარება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისადმი. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობისა და მტს-ის კედლის გაზეთი ახლა გამოდის უფრო რეგულარულად, უფრო საინტერესო და მიმზიდველია შინაარსობრივად და გაფორმების მხრივ. კედლის გაზეთები, ეყრდნობიან რა თავიანთი კოლმეურნეობის თუ მტს-ის ცხოვრებიდან აღებულ, ყველასათვის მახლობელ, გასაგებ ფაქტებსა და მაგალითებს, პროპაგანდას უწევენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ძირეული პრესა ფართოდ აჩაღებს კოლმეურნეთა და მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის.

მაგრამ პარტიის ზოგიერთი რაიკომი, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ძირეული პრესის მუშაობას, შესაფერ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ კედლის გაზეთებს, არ წარმართავენ მათს მთავარ ყურადღებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტისაკენ, ურიგდებიან კედლის გაზეთების დაწალ დონეს. ძირეული პრესა თავმნებებულია კასპისა და ზესტაფონის რაიონებში. იმსჯელა რა ამ რაიონების კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ აღნიშნა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში კედლის გაზეთების გამოშვებას მხოლოდ საზეიმო თარიღებს უფარდებენ, ნაკლებშინაარსიანი წერილებით ავსებენ და უხეიროდ აფორმებენ მათ. კედლის გაზეთები არაკონკრეტულად ამუქებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომის დისციპლინისა და საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, არ ეწევიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. უკეთესი მდგომარეობა არც ლენტეხის რაიონშია: სოფელ ლექსურის სტალინის სახელობის, ხელედის მოლოტოვის სახელობის, რცხმელურის სტალინის სახელობის და ჭველიერის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე კედლის გაზეთების არც ერთი ნომერი არ გამოსულა.

მთელი რიგი კედლის გაზეთების მუშაობის ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ამ გაზეთების სარედაქციო კოლეგიები ნაკლებად ზრუნავენ ავტორთა — კოლმეურნეების, მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული და კომკავშირული მუშაკების — ფართო აქტივის მოსაზიდავად, მუშაობენ უგეგმოდ.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები მთელი სიმწვავით აყენებენ ძირეული პრესის მუშაობის გადაჭრით გამოცოცხლების, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების აუცილებლობას.

კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების, ნოვატორთა მიღწევების სისტემატური პროპაგანდა. მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის დიდ შესაძლებლობას იძლევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. კედლის გაზეთებმა თავიანთ სვეტებზე ფართო ადგილი უნდა დაუთმონ მოსკოვიდან დაბრუნებული გამოფენის მონაწილეებისა და ექსკურსანტების ნაამბობს, მკაფიოდ, გასაგები ენით მოუთხრონ მშრომელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების მოწინავე ხერხებსა და მეთოდებზე. შრომის მოწინავე მეთოდების სისტემატურ პროპაგანდასთან ერთად ძირეული პრესა მოვალეა იბრძოლოს მათი საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვისათვის, კონკრეტული მაგალითებით უჩვენოს, თუ რა დადებითი შედეგი მოაქვს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამასთან კედლის გაზეთებმა მკაცრად უნდა გააკრიტიკონ ყველა, ვინც უდარდელობას იჩენს, ხოლო ზოგჯერ ხელსაც კი უშლის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის ფართოდ დანერგვას.

კედლის გაზეთების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გაშუქება. ისინი აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ პარტიულ ორგანიზაციებს შეჯიბრების მასობრივობისათვის, მისი საჯაროობისათვის ბრძოლაში. შეჯიბრებაში დაწინაურებულთა მაგალითის ჩვენებასთან ერთად ძირეული პრესა მუდამ ებრძოლოს ჩამორჩენილებს, რაზმავდეს საზოგადოებრივ აზრს ზარმაცების, საკოლმეურნეო შრომის დეზორგანიზატორების, სოციალისტური საკუთრების მომტაცებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ძირეული პრესის მუშაობის წარმატების საწინდარია მისდამი ყოველდღიური ქმედითი პარტიული ხელმძღვანელობა. ძირეული პრესისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა შემოღებულ იქნას პარტიის რაიკომების ბიუროებზე პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და კედლის გაზეთების რედაქტორების ანგარიშები კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ. პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებს მტს-ების ზონების მიხედვით დაევალათ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სარედაქციო კოლეგიებს კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებაში. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველდღიურად წარმართონ ძირეული პრესის მუშაობა, პერიოდულად მოისმინონ პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა საერთო კრებებზე სარედაქციო კოლეგიების ანგარიშები, აქტიურად დაუჭირონ მხარი კედლის გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებსა და სიგნალებს.

მუშაობის გაუმჯობესებაში ძირეულ პრესას საქმიანად უნდა ეხმარებოდნენ რაიონული გაზეთები, რომლებიც სისტემატურად უნდა აქვეყნებდნენ ძირეული პრესის მიმოხილვებს, აძლევდნენ მათ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას და უწევდნენ კონსულტაციებს. პერიოდულად უნდა ეწყობოდეს კედლის გაზეთების რედაქტორთა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირები და სემინარები მათი მუშაობის პრაქტიკულ და მეთოდურ საკითხებზე. გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უნდა იმართებოდეს კედლის გაზეთების რაიონული დათვალიერება.

ავამაღლოთ კედლის გაზეთების როლი საყოველთაო-სახალხო ამოცანის — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. მ. იაკობსონის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. მ. იაკობსონის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. აუგუსტ მიხკელის-ძე **იაკობსონი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი 1954 წ. 1 სექტემბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

ახალი ხერხი მებოსტნეობაში

კრასნოგოროსკი, (მოსკოვის ოლქი), 1 სექტემბერი. (საკდესი). სასოფლო-სამეურნეო არტელი „ლუჩი“ მასობრივად იღებს პამიდორის, კიტრისა და სხვა ბოსტნეული კულტურების მოსავალს. 300 ტონაზე მეტი პროდუქცია მან უკვე ჩააბარა სახელმწიფოს.

ამ დღეებში კოლმეურნეობის მინდვრებს, ბოსტნეულის ნაკვეთებსა და მეცხოველეობის სადგომებს ათვალიერებენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტები, რომლის მონაწილეც არის ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი. აქ იყენებენ პროგრესულ ხერხებს მეცხოველეობასა და მემცენარეობაში.

გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო არტელმა სიახლე გამოიყენა. 15 ჰექტარზე სტაფილო და ჭარხალი დათესა აღმონაცენისსაცავ ქაღალდის ლენტზე. კარგად დამუშავებულ ნიადაგზე მიდიოდა ოთხმწკრივა სათესი მანქანა „სპლ-4“, რომელსაც ტრაქტორი ეწევა. იგი აფენდა სპეციალურ ქაღალდის ლენტს და განსაზღვრულ მანძილზე გაკეთებულ ნახვრეტებში თესავდა სტაფილოს ან ჭარხლის თესლს. რამდენიმე დღის შემდეგ ნაკვეთზე ამოვიდა ბოსტნეულის თანაბარი აღმონაცენი, ხოლო მწკრივებში სარეველები დაიღუპა.

— ახალმა ხერხმა, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კოლმეურნეობის თავჯდომარემ ტ. ს. პრიახინმა, — ერთიორად შეამცირა შრომის ხარჯვა სარეველების აღმოსაფხვრელად. ამ ნაკვეთებზე ჩვენ სამჯერ დავამუშავეთ მწკრივთაშორისები კულტივატორით. კოლმეურნეობამ დაიწყო აღება სუფრის ჭარხლისა, რომელიც დათესილია შვიდ ჰექტარ ფართობზე აღმონაცენისსაცავ ქაღალდის ლენტზე. გათავლისწინებული გვაქვს თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ სულ ცოტა 250 ცენტნერი ჭარხალი და სტაფილო.

ახალ მინებზე

იოშკარ-ოლა, 1 სექტემბერი. (საკდესი). მარეთის ასს რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში მშრომელებმა შეიტანეს 500-ზე მეტი განცხადება, რომლებშიც ისინი სურვილს გამოთქვამენ გადასახლდნენ თავიანთი ოჯახებით ახალ მიწებზე.

დღეს სადგურ იოშკარ-ოლიდან გავიდა გადასახლების მსურველთა პირველი ეშელონი. 28 ოჯახი გაემგზავრა მუდმივ საცხოვრებლად კრასნოარსკის მხარეში, 25—ყაზახეთის უამრავ მიწებზე. ყველა ოჯახს მიეცა ფულადი სესხი. ადგილებზე მომზადებულია ბინები.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადებისა და საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ასრულებენ რა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ დადგენილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, 31 აგვისტოს შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს 2,1 მილიონი ფუთით მეტი მარცვლეული ჩაბარდა, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის. სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესრულებულია 128,3 პროცენტით. უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის — ხორბლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 192 პროცენტით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს თავიანთი თავი თესლით 1955 წლის საგაზაფხულო თესვისათვის და განაგრძობენ სახელმწიფო შესყიდვის წესით მარცვლეულის გაყიდვას გეგმის გადამეტებით, ინახავენ საფურაჟე და სადაზღვევო ფონდებს და აძლევენ კოლმეურნეებს პურს შრომადღეებზე.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც იბრძვიან მომავალი წლის უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, 30 აგვისტოს, დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა. შარშანდელზე მეტი სასუქია შეტანილი საშემოდგომო ნათესებში. 70 ათას ჰექტარზე მეტ საშემოდგომო ნათესებში შეტანილია ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევი საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეთოდით. მნიშვნელოვან ფართობებზე საშემოდგომო კულტურები დათესილია ვიწრომწკრივი და ჯვარედინი წესით.

ამჟამად მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები ამთავრებენ საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებას, ასილოსებენ სიმინდსა და მზესუმზირას, დაიწყეს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება.

უმაღლესი სასწავლებელი სახალინზე

იუჟნო-სახალინსკი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიღო სახელმწიფო პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის კარი. ეს სახალინზე პირველი უმაღლესი სასწავლებელია. მის ოთხ ფაკულტეტსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს ათასამდე სტუდენტი — ძირითადად მებადურეთა, მეშახტეთა, ტყის მჭრელთა, მენავთობეთა შვილები.

ინსტიტუტს აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტები პრაქტიკული მუშაობისათვის, დიდი სასპორტო დარბაზი, სასადილო, საერთო საცხოვრებელი.

ადგილობრივი მრეწველობის ახალი საწარმოები მოსკოვში

მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ დასახა ახალ საწარმოთა მშენებლობის გეგმა. გადაწყვეტილია ორნახევარი წლის განმავლობაში აშენდეს 16 ფაბრიკა და ქარხანა. ისინი გამოუშვებენ პიანინოებს, როიალებს, რადიომიმღებებს, ჭურჭელს, შეკერილ და სხვა ნაწარმს.

მომდინარეობს მოჭმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია. ფართოვდება მოსკოვის ზოთუთიებულა სახურავი რკინის ქარხანა. აქ შენდება ახალი სადგომები, სადაც იდგმება მაღალი წარმადობის მომთუთიებელი აგრეგატები. ქარხანა თითქმის ერთიორად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას. (საკდესი).

მცირდება ბეჭონის წონა

ხარკოვი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ბეტონის დასამზადებლად ჩვეულებრივად იყენებენ ცემენტს, ქვიშასა და მსხვილ შემავსებელ მასალას — ღორღს, რომელიც მთელი მასის დაახლოებით ნახევარს შეადგენს. შემავსებლად იყენებენ აგრეთვე მძიმე წონის მინერალებს, როგორიც არის გრანიტი, კირქვა, სილაქვა.

სამხრეთის სამშენებლო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა შეიმუშავა ბრძმედის წიდისაგან შემავსებლის დამზადების ტექნოლოგია. ასეთი მასალის დამზადების პროცესი მეტად მარტივია. დამდნარ წიდას იღებს სპეციალური მანქანა, რომელიც შექმნა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. კირიჩენკომ. მანქანა ამავე დროს იღებს წყალს. ამის შედეგად წიდა მოცულობით დიდდება და ქმნის წვრილფორიან მასას, რომელიც თითქმის ერთისამად მსუბუქია ჩვეულებრივ შემავსებელზე. სიმკვიდრე შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს რკინაბეტონის კონსტრუქციის წონას. ერთ ასეთ მანქანას დღეღამეში შეუძლია გამოუშვას წვრილფორიანი წიდა 800 კუბური მეტრი ბეტონის დასამზადებლად. ყველა პროცესი — წიდის, წყლის მიწოდება და მზა მასალის გადმოტვირთვა — მექანიზებულია.

მანქანის საცდელი ნიმუში დადგმულია ყოფნოვის მეტალურგიულ ქარხანაში. გამოცდამ დადებითი შედეგები მოიტანა. ახლა საწარმოში ამონტაჟებენ სპეციალურ დანადგარს წვრილფორიანი წიდის სამრეწველო წარმოებისათვის.

300 ათასი კილომეტრი აწევითი რემონტის გაუკეთებლად

სვერდლოვსკი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ნიჟნი ტაგილიდან აქ მოვიდა № 195 ელექტრომავალი. უფროსმა მემანქანემ კონსტანტინოვმა ამ რეისით შეასრულა თავისი სოციალისტური ვალდებულება. მისმა ელექტრომავალმა 300 ათასი კილომეტრი გაიარა აწევითი რემონტის გაუკეთებლად.

300 ათას კილომეტრის გარბენაში აწევითი რემონტის გაუკეთებლად ურალში ათობით ბრიგადა იღებს მონაწილეობას. მემანქანეების ბარმინის, ბბროსიმოვის, ბელჩენკოს და მრავალ სხვათა ელექტრომავლებმა უკვე გაიარეს 250 ათასი და მეტი კილომეტრი თვითეულმა. ამან სვერდლოვსკის დამახარისხებელი სადგურის ელექტროდეპოს საშუალება მისცა მარტო აგვისტოში დაეზოგა რემონტზე 50 ათასზე მეტი მანეთი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სწავლის ერთი თვე

ერთი თვე შესრულდა, რაც გამოფენის მთავარ პავილიონზე აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო ალმი. მას შემდეგ ყოველდღიურად ღიაა პავილიონების კარი, სადაც უჩვენებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებს.

თვის განმავლობაში გამოფენაზე იყო კოლმეურნეობათა 50 ათასზე მეტი წარმომადგენელი, საბჭოთა მეურნეობების 10 ათასამდე მუშაკი, მტს-ების 13 ათასზე მეტი მექანიზატორი, სამეცნიერო საკვლევ დაწესებულებათა ორი ათასზე მეტი წარმომადგენელი, ორი ათასზე მეტი ნორჩი ნატურალისტი.

გამოფენის პავილიონებსა და ლექტორიუმებში ეწყობოდა შეხვედრები მომძე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა, რომლებიც ერთმანეთს უზიარებდნენ მუშაობის გამოცდილებას, უამბობდნენ უხვი მოსავლის მიღებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების მეთოდებზე. მარტო გამოფენის ლექტორიუმებში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 90-მდე საუბარი.

ყველაზე მეტ ექსკურსანტს იზიდავს პავილიონი „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“. ერთი თვის მანძილზე იგი ინახულა 2.700-ზე მეტმა ორგანიზებულმა ექსკურსიამ. ექსკურსანტთა შორის იყვნენ კოლმეურნეები, მექანიზატორები, მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, აგრონომები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელები. ექსკურსანტთა შორის ბევრი იყო უცხოელი სტუმარი. პავილიონში უჩვენებენ 1.200 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას.

„მანეჟის“ სალექციო დარბაზში გაიმართა გამოფენის მონაწილე მეცხოველეობის მოწინავეთა ორმოცი შეხვედრა ექსკურსანტებთან. მოწინავეებმა გაუზიარეს მათ პირუტყვის გაზრდისა და მათი მოვლის გამოცდილება. საუბრების დროს უჩვენებდნენ მაღალპროდუქტიულ პირუტყვს.

პავილიონებში იმართებოდა შეხვედრები სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეებთან, რომელთა გამოცდილება ფართოდ არის ნაჩვენები გამოფენაზე. მაგალითად, ყაზახეთის სსრ პავილიონში გახსნის დღიდან მოეწყო 15 შეხვედრა და საუბარი გამოფენის მონაწილეებთან. ორჯერ გამოვიდა აქ წარჩინებული მებრინჯე, სოციალისტური შრომის გმირი იბრაი უასაევი. თავისი მუშაობის შესახებ უამბო ექსკურსანტებს ბალაშინსკის საბჭოთა მეურნეობის მეჯოგემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა კაპის ეუვასოვმა. სტენდებთან, რომლებზეც ნაჩვენებია ახალი მიწების ათვისება, ალტაისა და აკმოლინსკის ოლქის ექსკურსანტებს ეუბნებოდა სსრ კავშირის მტს-ის მუშაობის შესახებ უამბო ამ მტს-ის სატრაქტორო რაზმის უფროსმა აგრონომმა პ. ს. შკიტინმა. ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობა „ურალიანსკის“ ტრაქტორისტმა ა. მ. ცოცორინმა ყამირი მიწების დამუშავების თავისი გამოცდილება გაუზიარა დამსწრეთ.

„ურალის“ პავილიონში შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ სტენდთან, სადაც მუშაობს სტალინური პრემიის ლაურეატი ტ. ს. მალცევი, ყოველდღიურად კონსულტაციას იღებს ათასამდე კაცი. დღეში საშუალოდ აქ არის 25-30 ათასი დამთვალიერებელი. პავილიონის მეთოდისტებმა ურთიერთობა დაამყარეს ექსკურსანტთა ჯგუფებთან და გამგზავრების წინ აჯამებენ გამოფენაზე მუშაობის შედეგებს. მორიგი ასეთი საუბარი კურგანის ოლქის დელეგაციასთან გაიმართა 31 აგვისტოს. ამ დელეგაციის წევრებმა უამბეს, თუ ახალი რა გაიგეს გამოფენაზე და შინ დაბრუნებისას როგორ გამოიყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

გუშინ ადმინისტრაციული კორპუსის კონფერენც-დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრონომის ამხ. სმირნოვის საუბარი, მან დამსწრეთ უამბო ციმბირში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების თავისებურებათა შესახებ.

საკოლმეურნეო კულტურის სახლში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესლის ნიტრაგინითა და აზოტობაქტერინით თესვის წინა დამუშავების ახალი წესის შესახებ მოახსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ი. პეტრენკომ. მან ილაპარაკა ამ დარგში არაშავნიადაგიანი ზოლის მარცვლეული მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

„მანეჟის“ სალექციო დარბაზში სტავროპოლის მხარის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის უფროსმა მწყემსმა ი. ვ. გერასიმენკომ ილაპარაკა, თუ როგორ ზრდიან ამ მეურნეობაში მალმზარდ სახორცე და მატყლის ცხვარს. საუბრის შემდეგ დარბაზში უჩვენეს კინოფილმი სტავროპოლის მხარის მეცხვარეობის მოწინავეთა შესახებ.

მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკოეს“ მთავარმა ზოოტექნიკოსმა ა. დ. ბურლეევმა „მარცვლეულის“ პავილიონის ლექტორიუმში დამსწრეთ გაუზიარა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გამოცდილება. (საკდესი).

სურათებზე: 1. მოსკოვში ყოფნის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირულმა დელეგაციამ ინახულა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სტუმრები საქართველოს სსრ პავილიონის ორანეერიაში. 2. ექსკურსანტები და გამოფენის მონაწილენი საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან ათვალიერებენ თამბაქოს ნერგებს ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების პავილიონის ნაკვეთზე. მარცხნიდან მარჯვნივ — გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები: ლაგოდეხის მტს-ის აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი ი. ჩირინაშვილი, სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის ანდერძის“ (ლაგოდეხის რაიონი) კოლმეურნე სოციალისტური შრომის გმირი ი. ქადაგიშვილი, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერეკოლური სოციალისტური შრომის გმირი კ. გელაშვილი, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი პ. ბაქრაძე, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერეკოლური სოციალისტური შრომის გმირი ე. კამარიძე და კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სოციალისტური შრომის გმირი ნ. ნადაშვილი.

ფოტო ს. პროკოფიევისა (საკდესის ფოტოკორესპ.).

საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობა ყველაზე გაღაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★

როგორ ვხელმძღვანელოგთ მეცხოველეობას

ჩვენი კოლმეურნეობა დიდ მუშაობას ეწევა მემინდვრეობასთან ერთად მეცხოველეობის განვითარებისათვის. კოლმეურნეობას 375 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს, აქედან 84 სული ძროხა, რომელთაგან 45 მეწველია.

კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელად გადიდებას. მაგალითად, თუ 1951 წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე ლაქტაციის პერიოდში მიღებულ იქნა მხოლოდ 80 კილოგრამი რძე, წელს იანვრიდან 26 აგვისტომდე უკვე მივიღეთ 698,5 კილოგრამი.

კოლმეურნეობაში პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. კოლმეურნეობას ამ მხრივ ბევრი მუშაობა მოუხდება. დიდი რაოდენობით არა გვყავს მაღალპროდუქტიული პირუტყვი. ჩვენი ადგილობრივი უჯიშო ძროხები დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან, მაშინ როცა ჯიშიანი პირუტყვი კარგად ეგუება ჩვენს პირობებს და მაღალპროდუქტიულიც არის. მაგალითად, შარშან ველის წითელი ჯიშის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 2.044 კილოგრამი რძე, წელს 26 აგვისტომდე უკვე მივიღეთ 3.067 კილოგრამი.

ფერმის მოწინავე მწველავმა ბ. მიღდისოვმა, რომელიც 8 ძროხას უვლის, წელს 8 თვის განმავლობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 3.067 კილოგრამი რძე მიიღო. ერთ-ერთმა ძროხამ მარტიდან 26 აგვისტომდე 3.236 კილოგრამი მოიწველა.

სამწუხაროდ, კოლმეურნეობაში მხოლოდ 10 სული მაღალპროდუქტიული ძროხა გვყავს. ახლა ამ ნაკლს ვასწორებთ. მოკლე დროში გათვალისწინებული გვაქვს ფერმაში ძროხების სულადობის 80 პროცენტი მაღალპროდუქტიული გვყავდეს.

ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მეცხოველეობის შემდგომ ჯიშობრივ გაუმჯობესებას, ველის წითელი ჯიშის მწარმოებლებს ვაჯვარებთ ადგილობრივ ძროხებთან. ასეთი წესით მიღებული ხბო დაბადების პირველ დღესვე იწონის 32 კილოგრამს, ხოლო ადგილობრივი ძროხისა — 12 კილოგრამს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პირუტყვის უზრუნველყოფას საჭირო საკვებით. ახლა მთელი ჩვენი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ ზამთრის კვება მაქსიმალურად მივუახლოოთ ზაფხულისას. გათვალისწინებული გვაქვს თვითეული ძროხისათვის დავამზადოთ 5 ტონა სილოსი.

მაღალი წველადობის მიღწევა მაშინ შეიძლება, როცა ცხოველების რაციონში უხვად არის კარტოფილი, ჭარხალი, გოგრა და სხვ. საკვები ჭარხალი მაღალმოსავლიანი და სასარგებლო კულტურაა. იგი საგრძნობლად ადიდებს წველადობას. ამის დიდი გამოცდილება მიიღო მოსკოვში გამოფენაზე ყოფნის დროს ფერმის გამგემ ვ. დინუაშვილმა. კოლმეურნეობაში სპეციალურად მოვისმინეთ ამხ. დინუაშვილის საუბარი მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილების შესახებ. ახლა ამ შთაბეჭდილებებიდან ბევრ რამეს პრაქტიკულად ვახორციელებთ.

კერძოდ, გავადიდეთ კვების რაციონი. ახლა ძროხებს დამატებით ვაძლევთ საკვებ ჭარხალს, გოგრას.

წელს დათესილი გვაქვს 9 ჰექტარი საკვები ჭარხალი. თვითეულ ჰექტარზე მოსალოდნელია მივიღოთ სულ მცირე 450-500 ცენტნერი. საკვები გოგრა 4 ჰექტარზე დავთესეთ. სილოსი უნდა დავამზადოთ 515 ტონა, ფაქტიურად ეს დავალება უკვე შევასრულეთ, ე. ი. თვითეულ ძროხას 5 ტონა სილოსი მოუწევს. თვითეულ სულზე გვექნება 6 ტონა საკვები ჭარხალი, 0,5 ტონამდე გოგრა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ეს ამსუბუქებს ფერმის მუშაკთა შრომას, ამაღლებს პირუტყვის პროდუქტიულობას, მინიმუმამდე ამცირებს საკვების დანაკარგებს. ეს ჩვენს ფერმაში დღემდე მოუწყობელი იყო. ახლა ამოცანად დავისახეთ ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება.

ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად სულ მოკლე დროში მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრ აღმავლობას. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ სულ მცირე 3 ათასი კილოგრამი რძე.

ი. ძლიერიშვილი,
სოფელ მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მოწინავე მეცხვარე თ. ბუთხუზი ფარასთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

★

საკოხეს და ბიდარას მთის იალაღებზე

ვისაც კი ბედნიერი შემთხვევა ჰქონია და საქართველოს სამხედრო გზით უმოგზაურნია, ყველა დაგვემოწმება, თუ რა უსაზღვრო სიამოვნებას განაცდევინებს ადამიანს გზის არემარის მომაჯადოებელი ბუნების სილამაზე. ცად აზიდული მთის მწვერვალები, ფერდობები დაფარული ველები თავიანთი სიმშვენიერით კაცის გულს ალაღებენ, გრძნობას ახალისებენ.

დიდი ხანია ბარმა დაიმორჩილა მთა. ადამიანმა თავის სამსახურში ჩააყენა იგი. მთის იალაღებზე ყოველწლიურად იზაფხულებს საკოლმეურნეო ფერმების ათეულ ათასობით სული ცხვარი და ძროხა, ათასობით სკა ფუტკარი. აქ იქმნება საკოლმეურნეო დოვლათი და ბარაქა.

ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია თუნდაც გაეცნოთ სოფელ მლეთის სასოფლო-სამეურნეო არტელს, მის მეცხოველეთა ავ-კარგს, მათს თავდადებულ ბრძოლას პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის.

და აი მლეთაში ვართ. გადმოგვკეს: კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხვთისო პეტრიაშვილმა და ზოოტექნიკოსმა ანდრო ფაჯიშვილმა დილას ცხვარს იალაღებზე მიაშურესო...

მანქანამ უკან მოიტოვა მლეთა და დაკლაკნილი გზატკეცილით ზემოთ აჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ სოფელს თავზე მოვექეცით, ორსართულიანი სახლები პატარა ყუთის ოდნად მოჩანდა. გავივაკეთ, „დიდ ველზე“ გავედით. ჩვენს თვალწინ გადაშალა ალპური საძოვრების მომხიბვლელი მარადმწვანე პეიზაჟები. ხან ერთ, ხან მეორე მხარეს კინოკადრებივით მოჩანდა და ქრებოდა მთის ფერდობებზე შეფენილი პირუტყვი.

გუდაურთან მანქანა შედგა, მარჯვნივ გადაუხვია და იალაღისაკენ აიღო გეზი. თუმცა სამანქანო გზა არ იყო, მაგრამ ჩვენი მანქანა ისე მიჰქროდა აზიდული მთის ფერდობზე, როგორც მოასფალტებულ გზატკეცილზე. შორს, ჰორიზონტზე, გამოჩნდა მთაზე შეფენილი ცხვრის ფარა. რამდენიმე წუთიც, და უკვე მწყემსებთან აღმოვჩნდით.

— საკოხეს მთაზე ვართ, რამან სეთურიძის ფარაში, — გვითხრა ჩვენმა თანამგზავრმა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ლევან ჯაფარიძემ, მანქანიდან რომ გადმოვედით.

აქვე იყვნენ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე შალვა ნაზღაიძე და ზოოტექნიკოსი ანდრო ფაჯიშვილი.

მლეთელ მეცხვარეებზე ადრეც ბევრი რამ კარგი გაგვეგო, მაგრამ მათთან გამოსაუბრებით უფრო მეტი შევიტყეთ. ცხვარი მლეთელ კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული გულისყურითა და პასუხისმგებლობით უვლიან ცხვარს, თავდადებულად იბრძვიან მისი ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. ჩვენი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა.

— წელს ბევრი არაფერი გვაქვს დასაკვეხნი, — გულნატკენად დაიწყო საუბარი ფერმის გამგემ, — ცხვარი გაგვინახევრა ტიალმა ზამთარმა.

— როგორ?!

— მოგეხსენებათ, ჩვენი ცხვარი ყიზლარში ზამთრობს. გასული ზამთარი ისეთი მრისხანე იყო, რომ რამდენიც არ ვეცადეთ, ცხვარი მაინც დაგვეღუპა. ოცდაორი ათასიდან ნახევარი ძლივს გადავარჩინეთ.

— ალბათ მოუმზადებელს შეხვედით ზამთარს.

— პირველად ბრმა არ ვიყავით ყიზლარის საძოვრებზე. ჯერ ისევ გზად ვიყავით, როცა დაიწყო განუწყვეტელი წვიმები და ქარიშხალი. როგორც იყო, მივატანეთ ბინებს, ცხვარი შევრეკეთ ძველ ფარეხებში და ძლიერი ყინვის პირობებში დავიწყეთ ახალი ბინების გაკეთება, სადაც საკვების მარაგი გვქონდა დამზადებული. აქ მიწა ისე იყო გაყინული, რომ წერაქვი ვერაფერს აკლებდა. მაშინ მოგკრიფეთ გაყინული ბალახი, დაყარეთ და ცეცხლი წავუკიდეთ, ასე გავალხვეთ მიწა და სახელდახელო ბინებიც ავაშენეთ. პირველ ხიფათს ასე გადავრჩით. მაგრამ თებერვლის ნახევრიდან ამინდი კვლავ გაუარესდა. ჩვენ კი დოლისათვის ვემზადებოდით. ერთ ღამეს მოულოდნელად 8-10-ბალიანი გრიგალი ამოვარდა. გამგიგია, ასეთი ღრმა გემებსაც არ უშვებენ ღია ზღვაშია. მაშინვე ვეცით კარებს გარეთ გამოსასვლელად, ნამქერს ისინი მაგრად ჩაეკეტა. ავშალეთ ბინის სახურავები და ისე ამოვედით მაღლა. გამოვაცხადეთ ავრალი. დაიწყო მედგარი ბრძოლა ცხვრის გადასარჩენად. მწყემსების თავგანწირულმა ბრძოლამ თავისი გაიტანა. გრიგალისაგან დანგრეულ ფარეხებს და ბინებს კვლავ ვამაგრებდით. მიუხედავად ამისა, ზარალი მაინც განვიცადეთ. დარჩენილი დედაცხვრის დიდი ნაწილი გაგვიბერწდა, და აი, როგორც ხედავთ, ნამატიც ვერ მივიღეთ...

შალვა ნაზღაიძემ მწარედ ამოიოხრა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

— ასეთი რამ წელს აღარ გამეორდება. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გუშინ დაბრუნდა ყიზლარიდან. როგორც მან გადმოგვცა, ბინების მშენებლობა მთლიანად დაუმთავრებიათ. საკვები ბალახი იმდენი დაუმზადებიათო, რომ რა სუსხიანი ზამთარიც უნდა იყოს, მარაგი მეორე ზამთრისთვისაც დაგვრჩებაო.

მოპირდაპირე ფერდობზე შეფენილმა ცხვარმა ჩვენს მხარეს გადმოინაცვლა. ადვილად იყო შესამჩნევი, რომ ცხვარს კარგად გამოუზაფხულებია. მას სიჯანდაგე და ნაზამთრალის კვალი აღარ ამჩნევია. მეცხვარეობის ფერმამ სახელმწიფოს ათი ტონა მატყლი ჩააბარა.

— 15 ტონამდე მატყლს მივცემთ შემოდგომაზე კვეყანას. — შენიშნა ფერმის გამგემ.

მლეთელ მეცხვარეებს ეს მაინც არ აკმაყოფილებთ. მათ კარგა ხანია დაუწყიათ ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესება. ამჟამად კოლმეურნეობას ნაზმატყლიანი ჯიშის 1.060 სული ცხვარი ჰყავს. ამის ბაზაზე შექმნეს ცხვრის საჯიშე ფარა, რომელიც არაგვის მთის საძოვრებზე იმყოფება.

— მხოლოდ ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესებით შევძლებთ მისი პროდუქტიულობის კიდევ გაზრდას, — ამბობს ზოოტექნიკოსი ანდრო ფაჯიშვილი, — ამაში უკვე დარწმუნდნენ ჩვენი მწყემსები. პარტიამ და მთავრობამ დაგვავალეს რაც შეიძლება მოკლე დროში გადავიდეთ ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენებაზე. ეს სამუშაოები დაწყებული გვაქვს, უახლოეს ორ წელიწადში მივაღწევთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ცხვრის ნახევარზე მეტი ნაზმატყლიანი იყოს.

კოლმეურნეობას ბევრი ჰყავს მეცხვარე პრაქტიკოსები, ნოვატორები, რომლებიც თვითონ ახდენენ ცდებს, აუმჯობესებენ მთელი ფარის ჯიშს. ასეთ მოწინავე მწყემსებს ეკუთვნიან ბავლე და ვიო ნაზღაიძეები, ვლადიმერ ჯაღმაიძე და სხვები. ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებით მათ მიიღეს ახალი ჯიშური ჯგუფი „მლეთური“, რომელსაც ახასიათებს მატყლის ნაპარსის სიდიდე და მომთბარეობის დიდი უნარი. ამ პრაქტიკოსების აზრით, მათი კოლმეურნეობის პირობებისათვის უმჯობესია კავკასიური რამბულიეს ჯიშის ცხვრის მოშენება.

— ნატროშვილის და ბაძიაშვილის მიერ გამოყვანილი ჯიშის ცხვრებიც გვყავს, — ამბობენ ისინი, — მაგრამ კავკასიური რამბულიეს ჯიშის ცხვრები უფრო ადვილად ეგუებიან ჩვენს პირობებსა და კარგი იქნება მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ამ ჯიშს შემდგომ გაუმჯობესებაში დაგვეხმარებოდეს.

ინსტიტუტს როდი ემდურიან მლეთელი მეცხვარეები. გადმოგვცეს, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ხშირად იმყოფება მათთან და მთელ რიგ ცდებს აყენებს. მაგრამ მაინც ასეთი შენიშვნა გააკეთეს:

— მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკებისადმი ჩვენი თხოვნა იქნება — აქ რომ მოდიან, ცდები დაიყენონ არა იმისათვის, რომ მხოლოდ დისერტაციები დაიცვან და ამით მოათავონ საქმე. არა, ჩვენ მათგან უფრო მეტს ოველით, ქმედითად დაგვეხმარონ მთელი ფარების ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში.

სამართლიანი მოთხოვნაა. ინსტიტუტს დასჭირდება სერიოზულად იფიქროს ამ საკითხზე, საქართველოში მეცხვარეობის განვითარების ისტორიის თემაზე ნაწარმოებთა შექმნიდან გადავიდეს პრაქტიკულ საქმეზე, კერძოდ, ცალკეული კოლმეურნეობების პირობების შესაბამისად ცხვრის ჯიშების შერჩევასა და მათი ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

— პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაარწმუნა ჩვენი მეცხვარეები, — გვიამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხვთისო პეტრიაშვილი, — რომ ცხვრის მეტიზაცია სარგებლიანი საქმეა. ჯიშიანი ცხვარი უფრო მეტ მატყლს, ხორცსა და ყველს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი ცხვარი. ამიტომ ხშირად მწყემსები ერთმანეთს ეცილებიან ჯიშიანი ცხვრის ფარაში წასვლაზე.

მეცხვარეობის ფერმას კავკასური ჯიშის 40-მდე ყოჩი ჰყავს. საკმაო რაოდენობით აქვთ სპერმა დედაცხვრის ხელოვნური დათესლვისათვის, რასაც აქ 15 სექტემბრიდან შეუდგებიან. ამ მიზნით მლეთასა და „დიდ ველში“ მოწყობილი აქვთ ხელოვნური დათესლვის პუნქტები. ახლა მიმდინარეობს ამ პუნქტების კეთილმოწყობის უკანასკნელი სამუშაოები. როგორც კი ცხვარი იალაღებიდან დაიძვრება, ამ საქმეს მოკლე დროში მოათავებენ.

მეტად ძნელ პირობებში უხდებათ მწყემსებს თავიანთი მოვალეობის შესრულება. მაგრამ ისინი ხალისიანად, სიყვარულით ემსახურებიან ხალხის საქმეს. წვიმასა და თქეშში, ქარბუქსა და ქარიშხალში ერთი წუთითაც არ შორდებიან ცხვარს, დღედაღამ მასთან არიან, ზრუნავს არ აკლებენ, ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ ამისათვის, რომ უფრო მეტად გაადიდონ ცხვრის რაოდენობა, ხარდონ მისი პროდუქტიულობა.

• • •

ბიდარას მთა!

ასე უწოდებენ ჯვრის უღელტეხილის მარჯვნივ აღმართულ მწვერვალებს. აქ ატარებს ზაფხულს მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ყოჩის ფარა.

ცხვარი შეფენილი იყო მთის ფერდობებზე. გზის ნაპირიდან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით ნაბადწამოსხმული მწყემსი ჯოხზე დაყრდნობილი იდგა, სიამოვნებით ადევნებდა თვალს ნოყიერ ბალახზე დაწაფებულ ბამბასავით თეთრ ცხვარს.

— თედოს გაუმარჯოს! — მიესალმა ხვთისო პეტრიაშვილი.

— სალამი ნუ მოგაკლოთ ბუნების გამჩენმა!

— რაის იტყვი, თედორე, ბალახი როგორია?

— ბალახს რაიღა კითხვა უნდა, — უპასუხა თედორემ, — ვერ ხედავ, ცხორი როგორ გასუქებულა?!

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ყოჩმა, რომელიც ფეხით მიწას თხრიდა და შემდეგ ლოკავდა. თედომ შეგვამჩნია და აგვიხსნა:

—მარილი მოსდომნია, როგორც ჩანს, მიწასა სჭამს!

— აქ მკავე წყლები არ იცის, ამხანაგო თედო?

— როგორ არ იცის. ცოტაი მოშორებით არის. გალაღებულია ჩვენი ცხორი, სანამ რქ მიაღწევს, ქინს იკლავს.

საინტერესო აღმოჩნდა ამ გამოცდილ მწყემსთან თედო ადამის-ძე ბუთხუზთან საუბარი.

— რამდენი წელია რაც ცხვარში იმყოფებით? — შევეკითხეთ.

— ოცდაცხრა წელი იქნების. ცხრაი წლიდან ცხორში დავდივარ.

— როგორია თქვენი ფარის შემადგენლობა?

— სულ ყოჩებია ამ ფარაში. ყველა ჯიშის ყოჩი გვყავს აქ. თუშურიც, ნახევრდანზმატყლიანიც და ნაზმატყლიანიც. ჩვენი „მლეთურაც“ გვყავს. ყველას ნაზმატყლიანი სჯობნის. ბევრ მატყლსაც იძლევა და ხორცსაც. ზოგიერთი ყოჩის წონა ას კილოგრამს აღემატება.

ლაპარაკი ჩამოვარდა ცხვრის გამოზამთრებაზე. ამ გამოცდილ მეცხვარეს ბირველად თითქოს არ სურდა ეთქვა რამე, შემდეგ კი გულისტკივილით, მაგრამ მაინც გაგვიმხილა:

— ყიზლარმა დიდი ზარალი მოგვაყენა გასულ ზამთარს. ყოჩები კი გადავარჩინეთ, მაგრამ დედაცხვარი მეტად დაგვიზარალდა.

— შეიძლებოდა თუ არა ამ ზარალის თავიდან აცილება?

— რატომაც არა, შეიძლებოდა, თუ შევიტყობდით, როგორი ზამთარი იქნებოდა.

— გამოდის, რომ მოუმზადებელი შეხვდით ზამთარს, ხომ?

— მწყემსები ძალიანაც მომზადებული ვიყავით. მაგრამ მარტო ჩვენით რა იქნებოდის! ცხვარს საკმელი აკლდა, ბინები არ ჰყოფნიდა. აბა იმ ტიალ მინდორზე ცარიელა ხელებით რას გავაწყობდით! ჩვენი რაიკომის მდივანიც იქ იყო იმ უბედურების დღეებში, ჩვენი თავმჯდომარეც, მაგრამ უკვე გვიან იყო. ზამთრისათვის კაცი ადრევე უნდა ეცადოს...

მწყემსის ამ უკანასკნელ სიტყვებში ყველაფერი გულმართლად იყო ნათქვამი. ზამთრისათვის ისევე რომ მომზადებულიყვნენ, როგორც წელს მოემზადნენ, მლეთელები ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში გამარჯვებულნი გამოვიდოდნენ და წელს მეცხვარეობაში უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდათ.

თედომ ისიც გადმოგვცა, რომ ამ საძოვრებზე რაიონიდან ოშვიათად მოდიან. გაზეთი ჩვენ არ ვიცით და წიგნი, სახლში რომ ჩავდიართ, ქვეყნის ამბებს იქ ვიგებთო.

ნუთუ ღუშეთის რაიონის კულტურის ფრონტის მუშაკებს არ ჰყავთ ძალები, რომ კულტურული მომსახურება გაუწიონ იალაღებზე მყოფ მეცხვარეებს?

ამ ფარის მწყემსებთან გამოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მეცხვარეობის შემდგომ განვითარებაში მთავარია ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესება. თედო ბუთხუზმა პირდაპირ განაცხადა:

— ჩვენს კოლმეურნეობას რომ სულ ჯიშიანი ცხვარი ჰყავდეს, აბა მაშინ ნახეთ რამდენს მივიღებდით შრომადღეზე. ახლა ჩვეულებრივ თითო ცხვარზე ძლივს ვიღებთ 2,5 კილოგრამ მატყლს, მაშინ როცა თვითეული ჯიშიანი ცხვარი 5-6 კილოგრამს იძლევა, თანაც მატყლის ხარისხი ბევრად უკეთესია და ძვირადაც ფასობს. ძველთ ვერ ვეგუებოდით ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენებას, ახლა კი ყველანი ერთი აზრისა ვართ — სულ ჯიშიანად ვაქციოთ ჩვენი ცხვრის ფარები, ამაში სპეციალისტები უნდა დაგვეხმარონ.

— ვეცდებით, თედო, ამასაც მივაღწიოთ, — უპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — მთავარია შარშანდელი დანაკლისი ავანაზღაუროთ, ხალხის, პარტიისა და მთავრობის წინაშე პირნათელი გამოვიდეთ, ახლა აქეთკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ღონისძიებანი. მომავალ წელს ჩვენი ცხვრის ფარები ერთიორად უნდა ვაქციოთ, რომ წლევანდელი წლის ზარალი გადაჭარბებით ავანაზღაუროთ.

— ჩვენი იმედი მუდამ გქონდეთ, ხვთისო, ამ ფარას გაზაფხულზე უნაკლოდ ამოვრეკთ მთაში.

მზე თანდათანობით ჩაესვენა შორეული მთის მწვერვალების გადაღმა. ბიდარას მთის ფერდობებზე ბინდი ჩამოწვა, ცხვრის ფარა ღამის სათევ ბინისაკენ დაიძრა, თედო ბუთხუზმა ბოდიში მოიხადა, გამოგვემშვიდობა და ფერდობს გადამავალ ცხვრის ფარას აედევნა.

შორიდან კი ისმოდა მეზობელი ფარის მოყარაულე ძაღლების ყეფა და მწყემსების ყიჟინა:

— ჰაუ, ჰაუ, არ გაუშვა, ყაითარ, არ გაუშვა...

მეორე დღეს გადმოგვცეს, რომ რამან სეთურიძის ცხვრის ფარის ძაღლებს მგელი გაეფატრათ.

ა. კოკილაშვილი,
შ. ჭოჭუა.

მლეთა, აგვისტო.

პირველი შედეგები

ღუშეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებს მეცხოველეობის უნარიანად გაძღოლის თვალსაჩინო გამოცდილება აქვთ. მათ ამ დარგის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გააჩაღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. ახლა რაიონში 400 სული ველის წითელი ჯიშის ძროხაა. ჯიშიანობის გაუმჯობესების მიზნით სოფლების ბაზალეთის, მჭადიჯვრის, მლაშის, საშაბურის კოლმეურნეობებში დაინერგა ველის წითელ ჯიშის ბუღა-მწარმოებლების შეჯვარება ადგილობრივ ძროხებთან.

მოწინავე კოლმეურნეობები ნაყოფიერად მუშაობენ ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის.

წელს დედაცხვრის მთელი სულადობის ნერბვა მოხდება მხოლოდ ნაზმატყლიანი მაღალპროდუქტიული ყოჩი მწარმოებლებით, ხელოვნური დათესლვის გზით. ამ მიზნით რაიონში მოწყობილია ხელოვნურად დათესლვის 32 პუნქტი.

შარშან მიღებული 400 ყოჩი ნაზმატყლიანია და მთლიანად შენარჩუნებულია. წელს ნაზმატყლიანი ყოჩებით ხელოვნური დათესლვის პუნქტებში განერბვასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ხელოვნურად დათესლვის პუნქტების მშენებლობა და მოწყობა დასასრულს უახლოვდება. მომსახურე პერსონალით უზრუნველყოფილი არიან.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის წელს რაიონში გათვალისწინებულია დამზადდეს 22 ათასი ტონა სილოსი, ნაცვლად 11 ათასისა, ე. ი. თვითეულ საფურაქე ძროხაზე 5-6 ტონა. მაგრამ ეს სამუშაოები ზოგიერთ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს. 25 აგვისტოსათვის რაიონში დამზადებულია მხოლოდ 4.142 ტონა სილოსი.

პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობისათვის

მწველავად 15 წლის მანძილზე მუშაობით დიდი გამოცდილება შევიძინე. როგორც მწველავი, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ გავადიდო ძროხების წველადობა, ყოველწლიურად წარმატებით ვასრულებ მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებებს.

მოსავლელად მომაგრებული მყავს 11 ძროხა. აქედან 8 ველის წითელი ჯიშისაა. წელს 8 თვის განმავლობაში თვითეულ ჯიშიან ძროხაზე 1.500 კილოგრამი რძე მივიღე, გეგმა კი 850 კილოგრამს ითვალისწინებდა. ცხიმიანობამ 4 პროცენტს გადააჭარბა.

როგორ მივაღწიე ამ წარმატებებს?

მრავალი წლის პრაქტიკული მუშაობით და პირადი დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვა მაღალი წველადობის საწინდარია. ამიტომ ფერმაში ფართოდ დავნერგე ბაგური კვება, მეწველი ძროხები დავყავი სამ ჯგუფად. ცალცალკე არიან მაღალპროდუქტიული, დაბალპროდუქტიული და შმრალი ძროხები.

კარგად შევისწავლე თვითეული ძროხის ინდივიდუალური თვისებები. კვების დროს ვითვალისწინებ იმას, რომ რაციონში შედიოდეს ისეთი საკვები, რომელსაც პირუტყვი უფრო ხალისიანად ჭამს. მეწველ ძროხებს ვკვებავ მრავალფეროვანი, ყუათიანი, უპირატესად წვნიანი საკვებით, მათი ინდივიდუალური თვისებების — მერძეულობის, ცოცხალი წონის და სხვ. გათვალისწინებით.

როდესაც პირუტყვის ბანაკური კვების პირობებში ვაწყობ ნაკვეთმორგეობითს და სადღეღამისო ძოვებას, დამატებითი საკვების სახით ძროხებს მაინც ვაძლევ ახალგათიბულ ბალახს.

ძროხებს დღეში სამჯერ ვწველი. წველის დაწყებამდე გამოვბან ცურს და ვუმშრალებ სუფთა ტილოთი. გარდა ამისა, წველის დაწყებამდე ვაწარმოებ ცურის მასაჟს. ძროხებს ვწმენდ დღეში ორჯერ, ჭუჭყიან ადგილებს ვბან და ჩვრით ვუმშრალებ. ზამთარში ძროხებს თბილი წყლით ვწმენდ.

საერთოდ, მაკე ძროხების მოვლასა და კვებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. თუ მაკეობის დროს ძროხა ნორმალურად იკვებება, მაშინ ხბო ჯანსაღი იბადება და ძროხაც კარგად იწველის.

მაკე ძროხებისათვის საკვები ისე მაქვს შემზადებული, რომ იგი შეიცავს ყველა საჭირო საკვებ ნივთიერებას და ძროხისათვის ადვილად მოსანელებელია.

ფართოდ ვიყენებ ხბოების ხელზე კვების წესს, ე. ი. ძროხას მთლიანად ვწველი და შემდეგ მოწველილი რძის სათანადო ნაწილს ხბოს ვაძლევ სარძველიანი საწოვრის საშუალებით.

ამ დღეებში დავბრუნდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან. იქ ყველაფერი საინტერესო იყო. როგორც მწველავი განსაკუთრებით დავინტერესდი მეცხოველეობის პავილიონით, რომელიც გულდასმით დავათვალიერე. ჩემთვის დაუვიწყარია კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის“ ფერმაში გატარებული დრო. აქ საკვების შემზადებისა და ძროხის წველის მექანიზაციას გავეცანი. ვნახე, რომ ძროხებს საკვებთან ერთად იქვე გვერდით მუდამ უდევთ ქვამარილი და სურვილისამებრ ლოკავენ. გვესაუბრა აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირი მწველავი ე. კუზნეცოვი, რომელმაც 7 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე სამ ათასი ლიტრი რძე მიიღო. მისი საუბრიდან ბევრი რამ ძვირფასი შევიძინე.

გამოფენიდან დაბრუნების მეორე დღიდანვე ჩვენს ფერმაში ძროხებს გაალაოებულ საკვებთან ერთად საკვებურში გამოდმებით ვუდებ ქვამარილს. ამით თვითეული ძროხის წველადობა დღეში 2 კილოგრამით გავზარდე.

ჩვენს ფერმაში ჯერ კიდევ ვერ ვაღწევთ ძროხების თანაბარ დახბოიანებას მთელი წლის განმავლობაში. მე მოსკოვში ვნახე, რომ ძროხების თანაბარი დახბოიანებით ფერმის მუშაკებს შესაძლებლობა მიეცათ რძე ერთნაირი რაოდენობით მიიღონ ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში.

უკვე ვნერგავ მოსკოვიდან მიღებულ გამოცდილებას — ხბოების ცივად გამოზრდის მეთოდს. 6 თვიდან წლამდე დეკეულებს ვაჭმევთ 800 კილოგრამ თივას, 154 კილოგრამ კარტოფილს, 700 კილოგრამ კონცენტრატებს, 500 კილოგრამ მწვანე საკვებს.

ვალდებულებას ვკისრულობ გამოფენაზე მიღებული გამოცდილება ცხოვრებაში გამოვიყენო და თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა 5 ათას კილოგრამამდე ავიყვანო.

ნინო ნათელაშვილი,
სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი.

სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში ველის წითელი ჯიშის ბუღა-მწარმოებლის ადგილობრივ ძროხასთან შეჯვარების გზით მიღებული გაუმჯობესებული ჯიშის ხბო (მარჯვნივ) და ადგილობრივი დაბალპროდუქტიული ძროხის ხბო, რომლებიც ექვს-ექვსი თვისა არიან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მთიანი რაიონის სოფლებში

შოდა — ბუმბერაზი, ჭაღარა მწვერვალი, მძლეთამძლე დარაჯივით მოჰფარებია რიონის ზემო წელის მთელ ხეობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და საიმედოდ იცავს მას კავკასიონის მთაგრეხილის სივრცეებზე სტიქიურ ძალთა სამნელი შეჯახებების შედეგად ბარიაკენ გამოტყორცნილი სუსხისა და ქარტეხილებისაგან.

ნელი სიო ჰქრის და დღის განმავლობაში მზით გახურებულ ყანებს, ბოსტნებს, ბაღებს, სათიბებს ღამით მაცოცხლებელ ცვარნამს აპკურებს უფერლების, ნაკეთლების, შოუბნელების, ღარელების, კომანდლელების, შარდმეთლების, მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეთა საამებლად, ონელების საამებლადაც, ვინაიდან, როგორც ვახუშტი ამბობს, „ონი ჰავით არის მშვენი და ზაფხულს ცხელი ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა“.

ახლა ეს „მთები კლდოვანნი“ ხუჭუჭა ტყით არიან დაფარული.

ონი საკმაოდ მოზრდილი ქალაქია. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში აქ აუგიათ კულტურის სახლის მშვენიერი შენობა, ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ძეგლი-მონუმენტი, რკინაბეტონის დიდი ხიდი მდინარე რიონზე ქალაქში შესასვლელთან, გაუფართოებიათ და მოუასფალტებიათ ქუჩები, ქუჩების გაყოლებით გაუშენებიათ ყვავილნარები და გაზონები, ქალაქში დაურგავთ 22.000 ძირი მცენარე, გაუშენებიათ საქალაქო ბაღი, აუგიათ 130 საცხოვრებელი სახლი, კარგად მოუწყვიათ საკოლმეურნეო ბაზარი.

ამას ონელები უმადლიან იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის სურვილია ონის საქალაქო საბჭომ უკეთესად იმუშაოს, მიზანდასახულად და უნარიანად გამოიყენოს ის შესაძლებლობანი, რაც მას აქვს.

ყველაზე მეტად ონელებს აწუხებს... მდინარე რიონი, რომელიც მათ მოსვლებას არ აძლევს ყოველი ადიდებისას ქალაქის ზონაში შეჭრის მუქარით. რიონის ნაპირების დროებითი ჯუბირებით გამაგრებაზე ყოველწლიურად საგრძნობი თანხა იხარჯება, და ონელი მშრომელები აყენებენ წინადადებას — ერთბაშად გამოჰყონ ის თანხა, რაც საჭირო იქნება დროებითი ჯუბირების ასაგებად და გასაახლებლად, ვთქვათ, 4-5 წლის განმავლობაში. ამ თანხით, რაც ტექნიკოსების გაანგარიშების მიხედვით უთუოდ საკმარისი აღმოჩნდება შეუდგნენ ბეტონის მუდმივი სანაპირო საყრდენი კედლის აგებას, პირველ რიგში ლენინისა და ჯაფარიძის ქუჩების გაყოლებით.

ონს არ ჰყოფნის სასმელი წყალი, არ ჰყოფნის ელექტროენერგია; ქალაქს არ გააჩნია უნივერსალური მაღაზიისათვის ვარგისი შენობა; კინოთეატრი, რომელიც ძლივს ასდის მაყურებლებს, მოთავსებულია ძველ, შეუფერებელ შენობაში; საქალაქო და რაიონული დაწესებულებები გაფანტულია მთელ ქალაქში, რაც გარკვეულ უხერხულობას უქმნის მშრომელებს. ონი იმის ღირსია, რომ ჰქონდეს კარგი ადმინისტრაციული შენობა.

ონელები მეტ დახმარებას მოელიან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მხრივ როგორც რიონის ნაპირის გამაგრების დაჩქარებაში, ისე ქალაქის კომუნალური საწარმოების მშენებლობის სწრაფად განვითარებაში (ბანის გაფართოება, წყალსადენის მეორე რიგის დაპროექტება და ა. შ.).

* * *

ონის რაიონი რესპუბლიკის მთიანი კუთხეა. სიღარიბით, სიღატაკით იყო ცნობილი წინათ ეს კუთხე მთელ საქართველოში და შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, პირდაპირობით იყვნენ განთქმულნი აქაურები. სად არ შეხვდებოდით აქაურ გლეხს, ცოლ-შვილის სარჩენი ლუკმაპატრის საშოვნელად წასულს. საქართველოს და ამიერკავკასიის ქალაქებს გარდა მათ ნახავდით შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ქალაქებში. უჭირდა მაშინ რაჭველ გლეხს, წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ მაინც ვერ აუდიოდა მევახშეებს, გადასახადებს. ახლა? რაიონის მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ბრძნული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პატრიოტული შრომის ყოველ დღეს. რაიონში ამჟამად 35 გამსხვილებული კოლმეურნეობაა, მათი ძირითადი საწარმოო საშუალებანი უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში 102 პროცენტით გადიდდა, განუყოფელი ფონდი — 75 პროცენტით, მსხვილფეხა საქონლის სულადობა — 25 პროცენტით, ხოლო პროდუქტიულობა — 40 პროცენტით.

კოლმეურნეები ახლა უკვე ძასობრივად მიეჩვევნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების აგროღონისძიებების ზუსტად განხორციელებას. ამან დიდად აამაღლა კოლმეურნის შრომის კულტურა, გაადიდა მოსავლიანობა. გასულ 1953 წელს წინა წელთან შედარებით მარცვლეულის მოსავლიანობა რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 3,2 ცენტნერით ამაღლდა, ყურძნის მოსავლიანობა გადიდდა ჰექტარზე 9,7 ცენტნერით.

იქნებ გაგიგონიათ სოფელი — მრავალძალი. ახლა მას მთისკალთას უწოდებენ. იგი დაშორებული მთის სოფელია, სადაც კაცი წინათ 3-4, იშვიათ შემთხვევაში 5-6 თვის სარჩოს თუ მოიყვანდა. ქერი და კარტოფილი იყო აქაური გლეხის სარჩო. ახლა აქ თესავენ ხორბალს, დიდად გაფართოეს კარტოფილის ნათესები, თესავენ ქერსაც, სხვა ჭირნახულიც მოჰყავთ და რამდენიმე ჰექტარი ვენახიც გააშენეს. ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბლეულის აღება აქ ახლა ჩვეულებრივია. სოფელ ხორხონისის კოლმეურნეობაში შარშან საშუალოდ ჰექტარზე 37 ცენტნერი სიმინდი აიღეს. ჟამშვაში, ჭიბრევში, ფარახეთში კოლმეურნეები საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

ონის რაიონის სოფლებიდან ახლა აღარ მიდიან შორს სამუშაოს მოსანახავად. ადგილობრივაც მრავალი სამუშაო აქვთ. შეიცვალა ონის რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრების პირობები. მაშა, რომლის სომკირესაც მუდამ უჩიოდა ონელი გლეხი, ახლა თითქოს გაფართოვდა, უფრო ნოყიერი და ბოსავლიანი გახდა, გამრჯე კოლმეურნე წელგამართულად ცხოვრობს, გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების პირობები.

ონის რაიონში, როგორც მთიანში, სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მეცხოველეობა ითვლება. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში რაიონის მშრომელებს ჯერ კიდევ მრავალი გამოუყენებელი შესაძლებლობა აქვთ და, თუ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეს უნარიანად უხელმძღვანელენ, ონის რაიონი ჩვენში მეცხოველეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კუთხედ გადაიქცევა. მეცხოველეობას აქ მისდევენ უმთავრესად გლოლაში, ჭიორაში, ღებში, ონჭევში, შქმერში, ხიდეშლებსა და ღარში. არ კმარა ის, რომ რაიონი მთლიანად ასრულებდეს პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმას, ზრდიდეს წველადობას. საჭიროა მეტი ზრუნვა პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ახლა 800 ლიტრის ნაცვლად 862 ლიტრ რძეს იღებენ. საჭიროა მიღწეულ იქნას წველადობის გადიდება რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

სორი მთის ტიპიური სოფელია, ქეთილმოწყობილი, კარგი სოფელი, რომელიც საკოლმეურნეო წყობილებამ დააყენა ფეხზე, განამტკიცა, გაამშვენიერა. აქ არის მძლავრი კოლმეურნეობა, რომელსაც უნარიანად უძღვებიან მისი ხელმძღვანელები. 1950 წელს ამ სოფლის კოლმეურნეობას, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს (თავმჯდომარე ა. მურუსიძე, პარტორგანიზაციის მდივანი დ. ჭუმბაშვილი) 139.515 მანეთი ფულადი შემოსავალი ჰქონდა, 1951 წელს — 276.546 მანეთი, 1952 წელს — 280.000, შარშან — 365.150 მანეთი, ხოლო წელს გაცილებით მეტს მოელიან.

სოფელ მთისკალთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თეოფილე სხირტლაძემ გვიამბო, რომ თუ მათ დაეხმარებიან კარტოფილსათხრელი კომბაინის შეძენაში („ისეთი გვინდა, შენი ჭირიმე, „კომუნისტში“ რომ იყო დასურათებული“), კოლმეურნეობას შეუძლია კარტოფილის მოსავალი ერთიორად გაადიდოს და ეს პროდუქტი ტყიბულელ მეშახტეებსა და ჭიათურელ მაღაროელებსაც ბლომად მიაწოდოს. კარტოფილის კულტურა აქ მთავარია. ამ კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მესაქონლეობასაც.

რა გვინდა ამით ვთქვათ? ის, რომ საჭიროა ყოველი სოფლის, ყოველი კოლმეურნეობის სამეურნეო განმტკიცების საკითხს განსაკუთრებულად მივუდგეთ. შტამპი და სტანდარტი აქ მიუღებელია. სორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ერთ ვითარებაში უხდება მუშაობა, მთისკალთის კალინინის სახელობისას — მეორეში. რაიონის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებმა ეს გარემოება არასოდეს არ უნდა უგულებელყონ.

დ. ლომთაძე, კ. სიხარულიძე.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი — სსრ კავშირის ჩემპიონი



სურათზე: ზევით — მარცხნივ გუნდის მწვრთნელი გ. ავალიშვილი, მარჯვნივ გუნდის კაპიტანი ო. ქორქია. პირველ რიგში: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ჯორჯიკია, ვ. ელენტი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, გ. აბაშიძე, მეორე რიგში: ჯ. ნიფარაძე, გ. აბაშიძე, გ. კვაჭანტირაძე, მ. ასიტაშვილი, ო. კუჭავა.

კიევში დამთავრდა კალათბურთში სსრ კავშირის XXI პირველობის გათამაშების ფინალური შეჯიბრება. ასპარეზობაში, რომელმაც ათ დღეს გასტანა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ვაჟთა შორის: თბილისის და მოსკოვის „დინამოს“, ყაზანის „უალგირისის“, ცდსა-ს, რიგის ოფიცერთა სახლის, მოსკოვის „სპარტაკის“, ტალინის „კალევის“, რიგის „სპარტაკის“, კლაიპედის „უალგირისის“ და კიევის ოფიცერთა სახლის გუნდები, ხოლო ქალთა შორის — მოსკოვის „დინამოს“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, ლენინგრადის „ისკრის“, მოსკოვის „სტროიტელის“, თბილისის „ნაუკის“, ტარტუს უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის, რიგის „დაუგავას“, ყაზანის „უალგირისის“, ერევნის „მედიცისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ კალათბურთელთა კოლექტივები.

სპორტულად დაძაბულ შეჯიბრებაში თავი ისახელა სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონმა — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა მთელი ტურნირი და დამსახურებულად შეინარჩუნა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

მოუგეს რა შეჯიბრების პირველ დღეს ჩემპიონის წოდების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს კაუნასის „უალგირისს“ (62:48), თბილისელმა კალათბურთელებმა მომდევნო ტურებში თანმიმდევრულად დაამარცხეს კლაიპედის „უალგირისი“ (54:41), ცდსა (65:62). რიგის „სპარტაკი“ (51:43), კიევის ოფიცერთა სახლის გუნდი (49:44), მოსკოვის „სპარტაკი“ (50:36), რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი (69:54), ტალინის „კალევი“ (48:30). შეჯიბრების უკანასკნელ დღეს თბილისელმა სპორტსმენებმა მოუგეს თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს (81:68).

საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო ჩემპიონატში იცავდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი კალათბურთელები სპორტის დამსახურებული ოსტატები ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში გამოწრთობილი სპორტის ოსტატები ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, ვაჟა ელენტი, გივი აბაშიძე, ჯუმბერ ნიფარაძე, აგრეთვე ახალგაზრდა სპორტსმენები გურამ აბაშიძე, გ. კვაჭანტირაძე, ო. კუჭავა და მ. ასიტაშვილი.

ძლიერ მეტოქეებთან დაძაბულ ბრძოლაში თბილისელმა კალათბურთელებმა გამოამჟღავნეს არაჩვეულებრივი სპორტული ოსტატობა და გამარჯვებისადმი ღრმა მისწრაფება. ღირსეულად მოიპოვეს რა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები, თბილისელმა კალათბურთელებმა კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს საქართველოს სპორტის ისტორიაში.

კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა ცდსა-მ (მოსკოვი), მესამე ადგილზეა კაუნასის „უალგირისი“.

წარმატებით დაიწყეს შეჯიბრება თბილისის „ნაუკის“ კალათბურთელმა ქალებმა, რომელთაც სამი შეხვედრა ზედიზედ მოიგეს, მაგრამ შემდეგ განიცადეს რამდენიმე დამარცხება და შეჯიბრებაში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

გარდამავალი დროშის გადაცემა

ზიათუბარა. (ოფ. კორ.). [illegible] მაღაროს კოლექტივმა მერე ეკონომიკური [illegible] მატებით იმუშავა [illegible] შაავ მეტალურგიულ [illegible] შორის პირველი ადგილი, ზას მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მაღაროში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. მიტინგი გახსნა მაღაროს თავმჯდომარემ ამხ. დ. ბრეგკაძემ.

სიტყვით გამოვიდა შაავ მეტალურგიის ჭრეწველობის საუბთა პროფკავშირის ზიათურის ქალაქკომის თავმჯდომარე ე. კაპანაძე. ზემდგომი ორგანოების დავალებით ამხ. ე. კაპანაძეს მაღაროს დირექტორს შ. პაქსაშვილს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რასაც მიტინგის მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ცენტრალური გამაუბვებელი ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ირ. კაკაბაძემ, მერვე უბნის გამგემ გ. ჩაჩანიძემ, მოწინავე მაღაროელებმა ს. გოგატიშვილმა, ე. ლობჟანიძემ და სხვ. მათ ახალ-გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

მაღაროს კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. აქ რვა თვის დავალება 20 აგვისტოსათვის შესრულეს და მარგანეცს სექტემბრის ანგარიშში იძლევიან.

მხატვრული თვითმოქმედების რაიონული დათვალიერება

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში ოჩამჩირის კულტურის სახლში მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების რაიონული დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 7 საგუნდო კოლექტივი, 3 დრამატული წრე და 10 ინდივიდუალური შემსრულებელი.

ეიურომ შეაჯამა დათვალიერების შედეგები. საგუნდო კოლექტივთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა სოფელ მეორე ათარის მექოთანის სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, მეორე ადგილი — სოფელ კვიტოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

აღინიშნა აგრეთვე სოფლების ოტაფისა და მოქვის სასოფლო კლუბებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების კარგი გამოსვლა.

დრამატული კოლექტივებიდან პირველი სპატიო ადგილი მოიპოვა ოჩამჩირის რაიონული კულტურის სახლის რუსულმა დრამატულმა წრემ.

ინდივიდუალური შემსრულებლებიდან მოწონება დაიმსახურეს გრ. ფაფაზიანმა (თარი), სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, 106 წლის მოხუცმა მაკუკ ადლეიბამ, რომელმაც ძველ აფხაზურ ეროვნულ საკრავზე აფხიარაკზე შეასრულა რამდენიმე აფხაზური ხალხური სიმღერა.

ეიურომ აფხაზეთის სოოლქო დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება მიანიჭა ოჩამჩირის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, სოფლების მეორე ათარის, კვიტოულისა და ქოჩარის საკოლმეურნეო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს და ოჩამჩირის რაიონული კულტურის სახლის რუსულ დრამატულ წრეს.

სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები რუსულ ენაზე

ჟურნალ „ზვეზდას“ მე-8 ნომერში მოთავსებულია სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები, მიძღვნილი მოძმე სომხეთისადმი.

ლექსების თარგმანები შესრულებულია პოეტების ნ. ტიხონოვისა და ა. მეკეროვის მიერ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართული კლასიკური ლექსი

მიუხედავად ქართული ლექსის ხანგრძლივი ტრადიციისა და სტრუქტურული თავისებურებებისა, დღემდე არ მოგვეპოვებოდა ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი მონოგრაფია, რომელიც ასახავდა ქართული პოეტური ენის ისტორიული განვითარების გზას, მოყოლებული VI-VII საუკუნეებიდან, როცა ქართულ მწერლობაში რითმა ჩამოყალიბდა, ჩვენს დრომდე. მართალია, ქართული ვერსიფიკაციის კვლევა-ძიებას დაახლოებით ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ამ ძიებებს არსებობი მეთოდოლოგიური ნაკლი ჰქონდა: ბატონობდა სქოლასტიკური თეორიები, სხვა ენების ვერსიფიკაციიდან გადმონერგილი იყო ხელოვნური სქემები, შეუფერებელი ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის, და ამის წყალობით მიჩქმალული იყო ქართული ლექსის თავისებურებანი, ის ნიშნები, რომლებიც განასხვავებს ჩვენი ლექსის აღნაგობას სხვა ენათა პოეტური ენის აგებულებისაგან.

ამ ცალკეულ ძიებებიდან ზოგიერთი დაკვირვება ჩვენთვის მაინც გამოსადეგია. განსაკუთრებით ეს ითქმის მ. ბარათაშვილის, პ. იოსელიანის, კ. დოდაშვილის და უმთავრესად ს. გორგაძის ნაშრომებზე, ხოლო რუსი მკვლევარის ბოლხოვიტინოვის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ნაშრომი ქართული მეტრიკის დარგში დიდხანს ითვლებოდა ავტორიტეტულ წყაროდ მათთვის, ვინც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებით დაინტერესდებოდა. 80-იან წლებამდე არცერთ სხვა ავტორს არ უთქვამს პრინციპულად ახალი რამ: პირიქით, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ბოლხოვიტინოვთან შედარებით შემდგომი ავტორები უფრო პრიმიტიულ და მცდარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ბოლხოვიტინოვმა პირველად გააცნო ქართული ლექსთწყობა არა მარტო რუსეთს, არამედ დასავლეთ ევროპასაც.

ქართული ლექსის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას სისტემატური ხასიათი მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას, პროფ. გ. წერეთლის, ა. გაწერელიას, პ. ბერაძის და სხვათა გამოკვლევები, რომლებშიც ახალი გაშუქება მიეცა ქართული პოეტური ენის გენეზისის საკითხებს, ხოლო ძველი ქართული პოეზიის ძეგლების ფილოლოგიური გამოცემების წყალობით მკვიდრ ნიადაგზე დადგა ქართული ვერსიფიკატორული დისციპლინა.

ა. გაწერელიას ნაშრომი „ქართული კლასიკური ლექსი“, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“, პირველი სისტემატური მეცნიერული ნაშრომია, სადაც მონოგრაფიულად შესწავლილია ქართული ლექსის მახვილი, რიტმი, რითმა, სტროფი და საზომი VII-XVIII საუკუნეების პოეზიის მასალის მიხედვით. წიგნის შესავალ ნაწილში მოცემულია ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორია სათანადო კრიტიკული შეფასებით და დახასიათებულია ლექსის თეორიის ზოგადი საკითხები.

მონოგრაფიის პოზიტიური ნაწილი მიზნად ისახავს ქართული საელექსო ენის თავისებურების, კერძოდ, მისი რიტმული სტრუქტურის, შესწავლას მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე. გარდა თეორიული ინტერესებისა, ნაშრომი ისახავს წმინდა პრაქტიკულ ამოცანასაც: თანამედროვე საბჭოთა მწერლობას მიაწოდოს ისეთი გამოკვლევა, რომელიც ნათლად ასახავს საუკუნეების მანძილზე დაგროვილ მიღწევებს საელექსო რიტმიკის სფეროში მათი კრიტიკული ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

პოეზიის ენის პრობლემა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერული ძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეხედულებანი ენის შესახებ ნათელს ხდიან საერთო-სახალხო, საერთოეროვნული ენის ჩამოყალიბების პროცესში ლიტერატურის როლის მნიშვნელობას. ეს გარემოება ყურადღებას ამახვილებს ლიტერატურული ენისადმი, კერძოდ, პოეტური მეტყველებისადმი. სარეცენზიო წიგნის ავტორისათვის ამოსავალია დებულება, რომ არ არსებობს პოეზიაში ბურუჟაზიული ან პროლეტარული ლექსთწყობა, ისევე როგორც არ არსებობს კლასობრივი ენები — ბურჟუაზიული ენა, პროლეტარული ენა და ა. შ. ლექსთწყობა, როგორც პოეტური მეტყველების ფორმა, საერთო-სახალხო ენის სტრუქტურის კუთვნილებაა, მისი ნაწილია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, როგორც აღნიშნავს ა. გაწერელია, რომ პოეტური ენის ანალიზის დროს შეიძლება გვერდი ავუაროთ სოციალური ფენების გემოვნებებს, რომლებიც მასშია აღბეჭდილი. სტილისა და ლექსთწყობის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ცალკეული საზოგადოებრივი ფენები და კლასები ცდილობდნენ საკუთარი გემოვნების შესაფერისი სიტყვები და გამოთქმები, ინტონაციური და რიტმული თავისებურებანი მოეხვიათ თავზე საერთო-სახალხო ენის პოეტური მეტყველებისათვის. ავტორი ამ დებულების საილუსტრაციოდ იმოწმებს საგულისხმო მასალას ქართული მწერლობის ისტორიიდან.

მაგალითად, შავთელისა და ჩახრუხაძის ხელოვნური ლექსიკა და სტილი შეეფერებოდა იმ ეპოქის ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენების გემოვნებას. სამაგიეროდ რუსთაველის სტილი და ლექსთწყობა ძირითადად ემყარებოდა სახალხო ენის სინამდვილეში შემუშავებულ ელემენტებს. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე დ. გურამიშვილის ლექსის ხალხურობა, ანტონ კათალიკოსის გრამატიკული სკოლის პოეტური ენის მაგალითები და სხვ.

სწორია მონოგრაფიის ავტორის დასკვნა, რომ ასეთ ტენდენციებს ქართულ პოეზიაში არ მოუპოვებიათ ზოგადეროვნული, ხალხური მეტყველებისათვის შესაფერისი ადგილი და, მაშასადამე, მათ არც შეეძლოთ შეეცვალათ ქართული ლექსის საერთო შეეცვალათ ქართული ლექსის საერთო განვითარება. უთუოდ მნიშვნელოვანია წიგნში იმის ხაზგასმა, რომ ცალკეული საზოგადოებრივი ფენებისათვის შესატყვისი ფორმები ლექსთწყობაში მაინც იმავე საერთო-სახალხო ენას ემყარებოდნენ, ამ უკანასკნელისაგან სესხულობდნენ ძირითად სიტყვიერ მარაგსა და რიტმულ-ინტონაციურ ფორმებს. ამიტომ მათი როლი მოგვაგონებს ჟარგონებისა და დიალექტების დამოკიდებულებას საერთო-სახალხო ენისადმი.

ნაშრომში მოცემულია ვრცელი კრიტიკული მიმოხილვა ანტიმარქსისტული თეორიებისა, რომლებმაც ვერ შეძლეს ლექსის თეორიის მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტა და დიდი ზიანი მიაყენეს მართალ მეცნიერულ ძიებებს ამ დარგში. იდეალისტურმა მსოფლმხედველობამ, რომელიც გამოიმუშავეს სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლების წარმომადგენლებმა, მცდარი გზა მისცა ვერსიფიკაციის კვლევა-ძიებას. მეორე მხრივ, ფორმალისტური ძიებები უკიდურესი ცალმხრივობით, აგრეთვე იდეალისტური აბსტრაქციებით ხასიათდება. ეს თვალსაზრისი შინაგანი აუცილებლობით გამორიცხავს ისტორიზმს. სარეცენზიო წიგნში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურის თეორიას ახასიათებს იდეალიზმი და ანტიისტორიზმი, სქოლასტიკა და ლექსის ცალკეული ელემენტების ბუხჰალტრული სტატისტიკა.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძარჯვებით არის შესაძლებელი პოეტური ენის პრობლემათა მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქება. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის მიუღებელია ლექსთწყობის ცალკეული საკითხების ლიტერატურის საერთო პროცესიდან იზოლირებული განხილვის მეთოდი.

ქართული ლექსის მკვლევარები დიდი ხნის განმავლობაში დავობდნენ იმის თაობაზე, თუ რომელ სისტემას ეკუთვნის ქართული ლექსთწყობა: სილაბურს თუ სილაბურ-ტონურს. პირველი შეხედულების მომხრენი ფიქრობდნენ, თითქოს ქართული ლექსის რიტმს განსაზღვრავს მარცვლების თანაბარი რაოდენობა ტაეპებში, მეორენი ვარაუდობდნენ, რომ ქართულ ლექსთწყობაში გადამწყვეტია მახვილი, რომელიც ქმნის საზომს და მთლიანად რიტმს (ანალოგიური ვითარებაა რუსულ და გერმანულ ენებში). სარეცენზიო მონოგრაფიაში კრიტიკულად დახასიათებულია ეს თეორიები და მიღებულია დასკვნა, რომ ქართულმა ლექსმა განიცადა სილაბური სისტემიდან სილაბურ-ტონურზე გადასვლის ეკოლუცია.

ა. გაწერელიას წიგნი პირველი მონოგრაფიაა, სადაც ამომწურავად შესწავლილია მახვილი ქართულ ენაში, კერძოდ, წამოყენებულია ახალი შეხედულებანი ქართული პოეტური მეტყველების მახვილის საკითხში. ყურადღებას იპყრობს მახვილის გადაადგილების საკითხი. ნაჩვენებია, რომ ქართულ კლასიკურ ლექსში მახვილის გადაადგილება უეჭველი ფაქტია. არკვევა, რომ მახვილთა რეგრესული გადაადგილება მიეწერება რუსული ვერსიფიკატორული სისტემების ზეგავლენას (გურამიშვილი, რომანტიკოსები). ავტორი ქართულ მეტრულ მახვილს განიხილავს ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით და გარკვეულ ადგილს განუკუთვნებს მას ზოგადი პოეტიკის სინამდვილეში.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ქართული ლექსის რითმის კვლევის დარგში. საქმე ის არის, რომ ლიტერატურის თეორიაში დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის რითმის ისტორიული გენეზისისა და თავდაპირველი სამშობლოს საკითხები. ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს ევროპელ მკვლევარებს, რომლებიც უგულებელყოფენ რითმის ისტორიის საკითხში ბიზანტიური პოეზიის მონაცემებს და ამასთანავე ქართული რითმის განვითარების უძველეს საფეხურებს. პ. ინგოროყვამ სრული ეჭვმიუტანლობით ცხადყო, რომ ქართული ლექსის რითმა გენეტიურად დაკავშირებული არ არის არაბულ პოეზიასთან, მისი აღმოცენება VI-VII საუკუნეებს მიეწერება. პ. ინგოროყვამ ყურადღება გაამახვილა ქართული რითმის ნაციონალურ საწყისებზე და ამით ხაზი გაუსვა ქართული ხალხური პოეზიის მნიშვნელობასა და ხვედრით წონას ვერსიფიკაციის ამ მნიშვნელოვანი საკითხის კვლევის საქმეში.

ა. გაწერელიას ნაშრომი სავსებით ადასტურებს წამოყენებულ დებულებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ XII საუკუნეში განსაცვიფრებელ სირთულეს აღწევს ტაეპების შინაგანი გაორითმების ხერხები (ჩახრუხაძე და სხვ.). როგორც პროფ. გ. წერეთელმა გამოარკვია, ამ სფეროში ქართული რითმის ისტორიულ განვითარებას შემხვედრი წერტილები აქვს არაბულ-ირანულ ვერსიფიკაციასთან. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს ზოგადი პოეტიკის თვალსაზრისით, რამდენადაც აღმოსავლური პოეზიის თეორიის საკითხებისათვის ქართული პოეტური ენის მასალების გათვალისწინება აუცილებელი ხდება.

სარეცენზიო მონოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ ქართული კლასიკური ლექსის მახვილის, რიტმის, რითმისა და სტროფის ნიშანდობლივი თავისებურებანი დაკავშირებულია სხვა ენების ვერსიფიკაციის საკითხებთან. ნაშრომის მიზანია გაათავისუფლოს ქართული ვერსიფიკაციის კვლევა-ძიება წინამორბედ მკვლევართა მიერ შემოტანილი განყენებული სქემებისაგან და ფაქტობრივი მასალის მკაცრი შერჩევის გზით ნათელი გახადოს ქართული კლასიკური ლექსის დამახასიათებელი ნიშნები ქართული ენის ფონეტიკური ბუნების საფუძველზე. მონოგრაფიის მასალად გამოყენებულია საბჭოთა ფილოლოგიაში დადგენილი ტექსტები ქართული მწერლობის ძეგლებისა, გათვალისწინებულია ჩვენი მეცნიერების შეხედულებანი მათი თარიღებისა და წარმომშობი ლიტერატურული გარემოს შესახებ. მართალია, ყველა პოეტური ნაწარმოების ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოების აღდგენა დღესდღეობით შეუძლებელია, და ეს გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა ავტორს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამით მაინც არ შეიძლება შეიცვალოს მისი ძირითადი შეხედულებანი ქართული ვერსიფიკაციის ისტორიულ განვითარებაზე.

„ქართული კლასიკური ლექსი“ საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს, მასწავლებლებს, საგნის სპეციალისტებს, მწერლებს და ყველას, ვისაც აინტერესებს ქართული ლექსის აგებულების ძირითადი საკითხები.

დოცენტი შ. ძიძიგური.

„გერმანელმა ხალხმა თავისი ბრძოლით სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩასცეს გერმანიის მილიტარიზმს“

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნოს განცხადება

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების უარყოფასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ხელშეკრულების უარყოფა ადენაუერის მთავრობისა და ევროპაში ამერიკის დიპლომატიის პოლიტიკის სერიოზული დამარცხებაა. ეს დამარცხება ცხადყოფს, რომ ადენაუერის პოლიტიკას, რომლის მიზანია შექმნას ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, მივყავდით დასავლეთ გერმანიის სულ უფრო მეტი იზოლაციისაკენ და რომ საჭიროა შეიცვალოს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკა. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ გადაწყვეტილება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ მიიღო ფრანგი ხალხის მტკიცე ბრძოლის შედეგად. ეს გადაწყვეტილება ურთიერთგაგებისა და მშვიდობის პოლიტიკის გამარჯვება და ძალისა და ომის პოლიტიკის დამარცხებაა.

ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის პოლიტიკის ამ დამარცხების შემდეგ გერმანელი მილიტარისტები და მათი ამერიკელი მფარველები ყველა ღონისძიებას იხმარენ იმისათვის, რომ სხვა გზით განახორციელონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია. ამიტომ საჭიროა დასავლეთ გერმანიაში ვაწარმოოთ მტკიცე ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ და გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფხიზლე ომის გამჩაღებელთა ყველა გეგმის მიმართ. გერმანელმა ხალხმა თავისი ბრძოლით სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩასცეს გერმანიის მილიტარიზმს. დასავლეთ გერმანიაში საჭიროა განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაეფყარება მხოლოდ ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და რომლის მიზანი იქნება ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობის აღდგენა. დასავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის მიღწევა და მშვიდობის შენარჩუნება. ამიტომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების ჩაფუშვის შემდეგ უნდა ვიბრძოლოთ ყველა იმ ცდის წინააღმდეგ, რომ ძალაში შეიყვანონ საერთო ხელშეკრულება, რომელიც დასავლეთ გერმანიას სუვერენიტეტის უფლებას უსპობს.

ახლა ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, ცხადია, რომ ადენაუერის პოლიტიკა გაკოტრდა. ახლა დასავლეთ გერმანიას სჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც განახორციელებს გერმანელებს შორის ურთიერთგაგების დამყარების პოლიტიკას და მზად იქნება დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩვენ მივესალმებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ოლენჰაუერის მოთხოვნას ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების განახლების შესახებ, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს წინადადებანი ევროპის უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში. მაგრამ საჭიროა, რომ გერმანელებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. საჭიროა ბუნდესტაგმა დადებითად უპასუხოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წინადადებებს. საჭიროა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ ყველაფერი გააკეთოს, რათა დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ბუნდესტაგმა თავის უახლოეს სხდომაზე დასკვნა უნდა გააკეთოს ადენაუერის პოლიტიკის ჩაფუშვიდან და მიიღოს სახალხო პალატის მიმართვა. ამიტომ საჭიროა ყველამ მიმართოს ბუნდესტაგის დეპუტატებს ამ მოთხოვნით, რაც უნდა გამოიხატოს დელეგაციების წერილებით, რეზოლუციებითა და განცხადებებით. დასავლეთ გერმანიაში ურთიერთგაგების პოლიტიკამ უნდა გაიმარჯვოს“.

გერმანიის კომუნისტური პარტიის მოწოდება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისადმი

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება, რომ „მშვიდობის კვირეულთან“ დაკავშირებით, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ეწყობა 1-7 სექტემბერს, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია:

მეორე მსოფლიო ომის დაწყების, 1939 წლის 1 სექტემბრის მე-15 წლისთავი მოაგონებს ხალხებს ორი მსოფლიო ომის საშინელებას, რომლებმაც ჩვენს ხალხსაც მოუტანა უდიდესი ტანჯვა და მილიონობით მოკლული, მაშინ როცა შეიარაღების მაგნატებმა მილიარდობით მოგება ჩაიჯიბეს. უკანასკნელი ომის ტანჯვა დავიწყებული არ არის, არ არის დავიწყებული აგრეთვე ხიროსიმის და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შედეგები.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების საშინელებანი აღარ უნდა გამეორდეს. იზრდება იმის შეგნება, რომ ხალხთა შორის არც ერთი საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას ომის გზით, არამედ შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ შეთანხმებათა და მოლაპარაკების საფუძველზე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებების ცნობისა და პატივისცემის საფუძველზე.

დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმმა მოუწოდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მოაწყოს 1954 წლის 1-7 სექტემბერს „მშვიდობის კვირეული“.

დასავლეთ გერმანიაში მშვიდობისმოყვარე ადამიანები სულ უფრო გადამწყვეტ ღონისძიებებს იღებენ ბრძოლაში მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, გერმანელი და სხვა ხალხების მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. სულ უფრო მეტი ადამიანი აცხადებს:

ძირს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ და „საერთო ხელშეკრულება“! ძირს ყოველგვარი ცდა, რომ ეს ხელშეკრულებანი მიაღებინონ შემოვლითი გზებით! ძირს გერმანიის გათიშვის პოლიტიკა!

ჩვენ გვჭირდება გერმანელთა შეთანხმების პოლიტიკა და გვჭირდება დიდ სახელმწიფოთა ახალი მოლაპარაკება, რომლის დროსაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელებმა თანასწორი უფლებით უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი თვალსაზრისი, როგორც ამას სახალხო პალატა მოითხოვდა.

გადაეკიეთ „მშვიდობის კვირეული“ მძლავრ დემონსტრაციად ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, „ძალის პოლიტიკის“ წინააღმდეგ, შეთანხმებისა და მშვიდობის პოლიტიკისათვის!

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე „ევროპის არმიის“ მომხრენი წინააღმდეგობის რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის, „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“ და სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფებიდან შეეცადნენ ინტერპელაციების (მთავრობისადმი შეკითხვების) საშუალებით გამოეწვიათ ახალი საგარეოპოლიტიკური კამათი. ასეთი იყო ეგრეთწოდებული „რესპუბლიკური და სოციალური მოქმედების“ დამოუკიდებელი ჯგუფის წევრ ალეგარისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკელ პოლ რეინოს ინტერპელაციების მიზანი.

გუშინდელი სხდომის განმავლობაში პარლამენტის ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უმთავრესად „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მომხრენი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა წინადადება შეიტანა, რომ ინტერპელაციების განხილვა გადაიდოს 3 ნოემბრისათვის. მაგრამ ინტერპელაციების ავტორები და მათი მომხრე დეპუტატები კვლავ თავისას მოითხოვდნენ. ამ ჯგუფების წარმომადგენელთა სიტყვებისათვის საერთო იყო თეზისი იმის შესახებ, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების უარყოფა თითქოს გამოიწვევს გერმანიის არმიის აღორძინებას, საფრანგეთის იზოლაციას და „კავშირების დამხობას“.

კამათში გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ფაჟონი, რომელმაც მხარი დაუჭირა ინტერპელაციების განხილვის გადადებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების ჩაფუშვა მშვიდობის საქმისა და საფრანგეთის დამოუკიდებლობის დიდი გამარჯვებაა.

პრემიერ-მინისტრმა მენდეს-ფრანსმა გაიმეორა, რომ საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველია „ერთგულება ატლანტიკის კავშირისადმი“. მთავრობა, თქვა მან, თავის მოქმედებას დაამყარებს თავის მოკავშირეებთან „სოლიდარობაზე“ და „საფრანგეთ-გერმანიის შერიგებაზე“. მას არა აქვს და არც ექნება სხვა პოლიტიკა. მთავრობა დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებს სხვა გადაწყვეტილების შესამუშავებლად, მაგრამ არავითარი გადწყვეტილება არ იქნება მიღებული პარლამენტის მოუწონებლად. პარლამენტს განსახილველად გადაეცემა ბონის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შესახებ. შემდეგ დადგება სამხედრო საკითხების რიგი.

შემდეგ კენჭი უყარეს მენდეს-ფრანსის წინადადებას იმის შესახებ, რომ ინტერპელაციების განხილვა გადაიდოს 3 ნოემბრამდე. 418 ხმით 162 ხმის წინააღმდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ეროვნული კრება დათხოვნილია არადადეგებზე 3 ნოემბრამდე.

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის განცხადება

პეკინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, გუშინ საღამოს კანტონში ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის წარმომადგენელმა მ. ფილიპსმა პრეს-კონფერენცია გამართა ჩინელი და ინგლისელი კორესპონდენტებისათვის.

პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნდა დელეგაციის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ჩინეთიდან გამგზავრების წინ ჩვენი სურვილია მხურვალე მადლობა გადავიხადოთ თავაზიანობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რასაც ყველგან ვხვდებოდით. ჩვენს განკარგულებაში იყო ყველა შესაძლებლობა. საშუალება გვქონდა გვენახა მთავრობის წევრები, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, როცა კი მოვინდომებდით. ჩვენ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა თავმჯდომარე მაო ძე-დუნთან და რამდენიმე საუბარი პრემიერ-მინისტრ და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაისთან. ჩვენ გვსურს მადლობა გადავუხადოთ პრემიერ-მინისტრს იმისათვის, რომ მან ესოდენ დიდი დრო დაგვითმო.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინელი ხალხის ღონისძიებებმა, რომელთა მიზანია თანამედროვე საფუძვლებზე ააგოს თავისი ქვეყანა. ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით ღონისძიებებს, რომლებსაც ჩინელი ხალხი ამ მხრივ ახორციელებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სიმპათია და გაგება უნდა გამოიჩინოს დანარჩენმა სამყარომ უშუალო და პრაქტიკული სახით“.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობა დამოკიდებულია ჩინეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტზე... ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა ამ თანაარსებობაზე დამყარებულ აქტიურ თანამშრომლობასა და ურთიერთგაჭრობასთან ერთად ურთიერთგაგებას გამოიწვევს და ამრიგად შეამცირებს ომის საფრთხეს“.

„თუმცა ახალ ჩინეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, უეჭველია, დიდი იდეოლოგიური განსხვავებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ, ისევე როგორც მთავრობის ხელმძღვანელებს, მიგვაჩნია, რომ ეს განსხვავება ვერ შეაფერხებს მშვიდობიან თანაარსებობას და თანამშრომლობას ბევრ დარგში, რომლებშიც საერთო ინტერესები გვაქვს“.

დალადიე ეროვნული კრების გადაწყვეტილების შესახებ

პარიზი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ენფორმასიონმა“ გამოაქვეყნა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ედუარდ დალადიეს განცხადება „ევროპის არმიის“ ხელშეკრულების უარყოფის შესახებ. მან განაცხადა: „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სავალალო დასასრული აიხსნება ეროვნული ბრძოლით საფრანგეთის სუვერენიტეტის შეზღუდვის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ წინდაუხედავად შეაიარაღონ გერმანია, რომელიც შიშს აღგვიძრავს და რომელსაც სრულებით არ აუღია ხელი ავანტიურების პოლიტიკაზე“.

დალადიემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულ კრებაში კენჭისყრას ჰქონდა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ ან სასარგებლოდ ნათელი და მკაფიო ხმისმიცემის აზრი“. ამაში არავინ არ ცდებოდა, და ამიტომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ დასამარებულ იქნა ისე, რომ სამარის პირას გრძელი სიტყვები არ წარმოუთქვამთ“.

ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია საქართველოში

[illegible] ჩეხოსლოვაკიის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის [illegible] ბის [illegible] ოფიციალურ [illegible] ბით.

დელეგაციის წევრები დაუვლიან [illegible] რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას. ისინი შეხვდნენ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის წევრებსა და მუშაკებს, იყვნენ რაიკოოპკავშირებსა და სოფლის კოოპერატივებში.

ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორებმა შეისწავლეს გორის რაიონის სამომხმარებლო კავშირის მუშაობა, იყვნენ გორის რაიონის სოფელ ტყვიავის სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში. ისინი გაეცნენ აგრეთვე ბორჯომის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციისა და წაღვერის სასოფლო მაღაზიის მუშაობას, დათვალიერეს რაიონული სამომხმარებლო კავშირის უნივერმაღის ორსართულიანი შენობა, რომელიც ბორჯომში შენდება.

დელეგაცია გაემგზავრა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. აქ ჩეხოსლოვაკიის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის წარმომადგენლები დაინტერესდნენ აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატის ცალკეული რგოლების, გუდაუთის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციისა და მისი მაღაზიების მუშაობით.

საქართველოში ყოფნის დროს ჩეხოსლოვაკიელმა სტუმრებმა დათვალიერეს თბილისისა და სოხუმის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, იყვნენ მუზეუმებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, სასწავლებლებში. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ დელეგაციის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გუშინ ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორები თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ. (საკდესი).

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მძლეოსნოგაში

ხარკოვი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საბჭოთა და ჩინელი მძლეოსნების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოება „დინამოს“, „ავანგარდის“, „კიანინოე ზანამის“ სპორტსმენებმა, ხარკოვის ნაკრებმა გუნდმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდულმა სასპორტო დელეგაციამ.

შეჯიბრების დროს მსოფლიო რეკორდსმენმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ გადააჭარბა ამ შედეგს, რომელსაც მიაღწია ევროპის ჩემპიონმა ბადროს ტყორცნაში 5. ბონომარიო